ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს

2023 წლის 5 სექტემბრის სხდომის

ოქმი #7

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023 წლის 5 სექტემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 28 წევრი, სხდომას ესწრებოდა 15 წევრი. სხდომას ესწრებოდნენ დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თამარ ჭელიძე, და გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

მიმდინარე სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს პროფესორი ლია მაჭავარიანი, მდივნად - ასოცირებული პროფესორი ირინა ხუციშვილი.

დღის წესრიგი:

1. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის განხილვა;
2. პროგრამული ცვლილებები;
3. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** ინფორმაცია დღის წესრიგის პირველი საკითხის - მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს მიმდინარე სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ასოცირებულ პროფესორ თამარ ჭელიძეს. ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საჭირო გახდა მაგისტრატურისთვის ადრე გამოყოფილი კვოტების გადახედვა და დაკორექტირება. კითხვარი განახლებული კვოტებით წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ. შათაშვილმა, დ. ძიძიგურმა, მ. ხაჩიძემ, გ. ღვედაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ. ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართები 2). ცვლილებები შევიდა შემდეგ საბაკალავრო პროგრამებში: კომპიუტერული მეცნიერება, კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი), კომპიუტერული მეცნიერება (ქართულ ფრანგული), ქიმია. სამაგისტრო პროგრამაში „ბიოლოგია“ ცვლილებების საფუძველი იყო პროგრამის გაუმჯობესება და ოპტიმიზაცია. რიგი ცვლილებებისა განპირობებული იყო პროგრამის ხელმძღვანელების გარდაცვალებით.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ. შათაშვილმა, მ. ხაჩიძემ, ნ. დორეულმა, დ. ძიძიგურმა, გ. ღვედაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი ცვლილებების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართები 2).

3. მოისმინეს: ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის თ. ჭელიძის ინფორმაცია საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ი. ჩიკვაიძემ, გ. ღვედაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საატესტაციო კომისიის განახლებული შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის განახლებული შემადგენლობა (იხ. დანართები 3).

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი ლია მაჭავარიანი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი ირინა ხუციშვილი